



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/35

ქ. თბილისი

30 სექტემბერი 2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროს მასწავლებელთა შრომის
ანაზღაურებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის №01-05-04/140 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 სექტემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროს მასწავლებელთა პერსონალი უფლებამოსილია გაუძლვეს შესაბამისი სასწავლო კურსის პრაქტიკულ, ლაბორატორიულ, საკურსო სამუშაოებს და სემინარებს;
2. უფროსი მასწავლებლის ერთი აკადემიური საათის ანაზღაურება განისაზღვროს 15 ლარის ოდენობით;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე